

# დ რ თ ე ბ ა

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 272

კვირა, 6

ნოემბერი 1909 წ.

დამატების № 48

### ტკბილი ღუღუკი.

(შემდგომი \*)

9.

მეორე დღეს მე და მიხა წავედით ქეთეთთანა. მიხა მორთულიყო, სულ ახლები ეცვა. მოხდენილი ახალგაზდა ჩანდა. თვალეში ხან იმედი ესახებოდა და სახეზე სიამე ვადურბენდა, ხან უიმედობა მოიცავდა მას და სახეზე ტანჯვა აღებეჭდებოდა. მივსდევდი მიხას, ჯონს ხელზე ვიტრიალებდი, ოღონდ ვუსტვენდი და ამ სტვენით ვიგერებდი იმ აზრს, რომელიც დაჟინებით მეტანებოდა და მოსაბეზრებლად დამტრიალებდა თავს:

„შენდამი სიყვარულს რომ სხვას უთმობ, განა კიდევ მოელი საიდანმე მაგისთანა განძს?“

„ღმერთი იმდენს მომცემს, შინამდინაც ვერ მივიტანო!“ ვუბასუხებდი ზღაპრიდან ამოდებულ ფრასით და ეს ფრასები წინ მიძლოდნენ, უკან მომდევდნენ, გარს მივლიდნენ, არ მეშვებოდნენ.

ყველანი შინ დავვიხვდნენ. მასპინძელმა ზრდილობიანად და მხიარულად მიკვილო. ჰკითხა ჩემს მეგობარს საკითხი, დარბაისლური საუბრით გაუმასპინძლდა. შეხედულობით, ქცევით თუ ენით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ქეთეთოს მამამ მიხაზე. მე ვიცი სიტყვაპასუხი არ უფარგოდა! მართალია, ცოტა მედიდურად ექცეოდა კაცი მიხას, მაგრამ ისე კი არა, რომ საწყენი რამ ეგრძობინებინა. გამხნევდა ახალგაზრდა, თავი მალდა აიღო.

— თქვენ, ყმაწვილო, კარგ ხელობას დასდგომიხართ: დახელოვნდებით ვაჭრობაში და შეიქმნებით სოფდაგარი, მდიდარი, — შეაქო ახალგაზრდა.

— მართალსა ბრძანებთ!— მიუგე მე — ეხლა სიმდიდრეს უფრო მეტი ძალა აქვს და პატივი, ვიდრე კეთილშობილებას; ფული ძალაშია და იმონებს ყველას და ყოველსავე.

— მეცა ვებედავ მაგას და კიდევ გამოვცადე, მაგრამ წარმოიდგინეთ, ისევ ძველ აზრზე ვდგევარ: ადამიანს უფრო მეტ პატივსა ვცემ, ვიდრე, ფულის პარკს. ხომ ხელმოკლე კაცი ვარ, მაგრამ დღესაც კეთილშობილი მირჩევნია მოუხეშავ მდიდარს. აი ჩემი ქალისათვის რამდენი შეძლებული კაცი ამიჩნდა, ხელოსანი თუ ვაჭარი, მაგრამ ისევ მოხელე ვირჩიე: უფრო სუფთა და განათლებული ცხოვრება ექნება.

— თქვენ თითონ მოხელედ ნამყოფი ხართ და იმისთვის თანაუგრძობთ მოხელეებს, — შევუბრუნე სიტყვა.

— ნეტავ რა მოგცა იმოხლეობამ? მთავრობა არ აფასებს შრომას და აი სიღარიბეში ჩავცვივდით ბოლოსდროს, — უსაყვედურა ცოლმა.

— ეხლა ვაჭრობას იმისთვის არა აქვს პატივი, რომ ჩარჩობისა და მძარცველობის ნიადაგზე სდგას: ვაჭრობა მოიცოლებს ამ ყალბ ნიადაგს და სოფდაგარი სიმდიდრესთან პატივსაც დაიმსახურებს.

— ჩემს მეგობარს ასე აქვს ცხოვრების მიზანი დასახული: ჰსურს შეიქმნეს სოფდაგარი პატიოსანი, კიდევ მიაღწევს მიზანს, რადგან ფხიზელია, გამრჯელი, სუფთა ქცევისა და მარტივ ცხოვრებას მისდევს, — შევაქე მეგობარი.

— კარგად ლაპარაკობთ, მაგრამ სანამ მაგისთანა ნიადაგზე დადგება საქმე, ბევრი წყალი ჩაივლის და ჩემი სიტყვა მანამდის არ იქმნება სიმართლეს მოკლებული. აი თუნდ ივანე ივანესძე: ჯერ შუახნის კაცი არ არის, სტოლის გამგებლობა კი აბარია! — განმარტა მასპინძელმა და სიტყვა „სტოლის გამგებელი“ ისეთის რიხით წარმოსთქვა, თითქო იგი სტოლი საქართველოს სივრცე მაინც ყოფილიყო.

ქეთეთო ტახტზე იჯდა და ჰკერავდა. ივანე ივანეს ძის ხსენებაზე მაშინდელივით ფერმა გადაჰკრა და ხელები უღონოდ ჩამოჰყარა მუხლებზე. ეს მისი უნებლიეთი მოძრაობა შენიშნა მამამ და მიუბრუნდა:

ტყუილადა ჰდელავ, ქალო! ივანე ივანეს ძე ძალიან კარგი კაცია და წარჩინებული. თუ მართლა მოისურვა შენი თხოვნა, ბედნიერი ქალი შეიქნები და პატივცემული.

ქალმა გადმოიხედა ჩემკენ თითქო საყვედურით და ჩაღუნა თავი. წამწმის ბოლოზე ცრემლი გადმოეკიდა.

— ციოთ, ყმაწვილო, — მომიბრუნდა მასპინძელი, — იმდღეს ჩვენსა იყო და გამოთხოვებისას მითხრა, მე თქვენნი დამოყვრება მწადია და მალე განვახორციელებ ჩემს სურვილს, თუ თქვენთვისაც სასიამოვნო იქნებაო. მე გამეხარდა, მაგრამ დიასახლისი სულ სხვას ამბობს.

— შვილის ბედნიერებაზე ვფიქრობ და იმიტომ ვამბობ! მართალია, სამსახური კარგი უჭირავს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის კაცი არ არის, ჩვენ იმისი არა ვაგვეგება რა და იმას ჩვენი გარდა ამისა მსმელია და.....



სელმა ლაგერლუმი,

შვედელი მწერალი ქალი, რომელმაც წლეულს მიიღო ნობელის ლიტერატურული პრემია.

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 47.

— და ათას რასმე სხვას იტყვიან ეხლა და მოაქორებენ! ჰშურთ, ადამიანო, რომ ჩვენ ოჯახში დიდის და ტყუილებს უგონებენ, რა არის ქალი არ გაუბედნიერდეთო!

— დიასახლისის მხარე უნდა დავიჭირო: უცხოელნი და ჩვენ არა ვვარგევართ ერთად ოჯახში. სხვა და სხვა ნაირი



რ ა ხ ი მ - ხ ა ნ ი,

ცნობილი რეაქციონერი სპარსეთში, რომელმაც არღებელი აიკლო და მიწასთან გაასწორა.

გვაქვს მოდგმა, ხასიათი, ჩვეულებები, მისწრაფება. და თუ მსმელიც არის, დაღუპულია თითონაც და მისი ოჯახიც, — წარმოვსთქვი მე.

მთელი ამ საუბრის დროს მიხას ხმა არ ამოუღია და მეც არ შემინდნია იმისთვის. ეხლა გადავხედე და შეგვკრთი: ზაფრანის ფერი დასდებოდა, თვალები დაჰკარგოდა, აზრი აღარ ეტყობოდა შუბლზე. ვიგრძენი, რომ რამე შეუნდობელ შეცდომას ჩაიდენდა და მივბრუნდი მისკენ, რომ დროზე შემეყენებინა. გვიანდა იყო, წამოდგა კაცი, განაპყრო ხელი ქეთეთოსაკენ და წარმოსთქვა:

— თქვენი ქალი ჩემი მეუღლეა, ჩემი მეუღლე უნდა შეიქმნეს! ჩვენ ერთმანეთისანი ვართ, ერთმანეთისთვის გაჩენილი. ვეძებდი მაგას ცხოვრების მორევში და ვიპოვე. ნუ დაგვაშორებთ ერთმანეთს, თორემ ორივეს დაგვთქამს ცხოვრების წყვლიადი.

ქეთეთოს დედ-მამა განცვიფრებით შეჰყურებდა ხან მიხას, ხან ქალს. ქალს თავი აეღო მალლა და დაბნეულად აყოლებდა თვალს. მე შეგვკრთი, ერთს წამს დავიბენი, მაგრამ მალე მოვედი თავს და მივმართე:

— მომისმინეთ! ჩემმა მეგობარმა გადაწყვიტა თქვენი ქალის შერთვა. პირველ ნახვამევე შეუყვარდა და ისე ძლიერ, რომ უმაგისოდ სიცოცხლე ვერ შეუძლიან. მსურდა შემემხადებინეთ ამ ამბისათვის, მაგრამ ხომ ჰხედავთ, ვეღარ შესძლო ახალგაზრდა გრძობის დამორჩილება.

ჩამოვარდა სიჩუმე. წამოდგა მასპინძელი და მომმართა გადაჭრით:

— ყმაწვილ კაცს თითონ ქალი მისცემს შესაფერ პასუხს. ძალას არაფის დავაგ ნ. მაგრამ დღეს ჩემი მოვალეობა

ბაა ქალის ბედზე ზრუნვა და გეტყვით: მე ჩემთავად ვერ გავცვლი წარჩინებულ მოხელეს და კეთილშობილ კაცს ვინმე ნოქარზე, თუნდ თქვენ ნათესავსა და მეგობარზე! მწყინს კიდევ თქვენი შუამავლობა, თითქმის....

საშინლად მეწყინა ესეთი ჩემდამი მომართვა. ავენთე, ფეხზე წამოვიჭერ. შედგა მეტყველი, სიტყვა გაუწყდა პირში. ქალმა ყვედრებით შეხედა მამას. დედა ბოდიშს იხდიდა. ჩავკიდე ხელი მეგობარს და გამოვედით. ღამის წყვლიადმა ჩანთქა ბედკრული.

10.

ცულ გუნებაზე დავბრუნდი სახლში. უეცრად ჩავგვეშალა დაწყებილება და სამუდამოდ. თუ ხასიათის სიმტკიცე გამოეჩინა მიხას და თავი შეეკავებინა, იქნება შესაძლებელი ყოფილიყო იმ საქმის ნელ-ნელა ჩვენკენ დახრა და მისი ჩვენ სასურველად დაბოლოვება. თუ ვერ შევძლებდით იმას, აზრიანად მაინც ვიმოქმედებდით და აღარ გავწილდებოდით ესე გონჯად. ისეთი მკაცრი პასუხი, რომელიც მიიღო მიხამ, შეურაცხყოფა იყო მისიც და ჩემიც, რადგან მიხა მე გავაცანი მათ და მევე ვიტვირთე შუამავლობა. მაგრამ როცა გრძობა მძლავრობს, გონება იხშობა და თვითმოქმედი ნება უძლურდება. მიხას კი ისე უეცრად და ძლიერ მოედო ტრფობა, როგორც ცეცხლი ბალახს, რომ განხმელს ტრფობის და აღმა დაბუფა მისი გონებაც და ნებაც.

— კიდევ არაფერი, რომ პირდაპირ ჩემთვის არ მოემართნა საყვედურით. არა, მოუზრებელი კაცი კია ე მიხაც, მოუხერხებელი. მართალია, რაინდული იყო მისი ქცევა, გაბედული, სწორედ ისეთი, როგორც შეჰშვენის ფაქიზს და უძლევებს გრძობით გამსქვალულ ვაჟკაცს, მაგრამ რა სარაინდო ასპარეზი იყო იქ და ან რა ხელსაყრელი იყო იქ რაინდული გულწრფელობა! მაშ არა სჯობდა მოზომილი მოქმედება? ჰაი, ჰაი, რომ სჯობდა, მაგრამ მიხასთანა გონება გაუსხნელ ადამიანს რა გაეგება მოზომილს ქცევისა! ვჯავრობდი ჩემთავად.

ჩემი ფიქრები უნებლიედ მიხასაკენ გაემართნენ და ნისლივით შემოვხვივინენ მის პიროვნობას. საიმედო კი ვერა შენიშნეს რა: კაცი თავგანწირული იყო, თითქმის ატაცებული და საშიში იყო, არა აეტენა რა თავის თავისათვის სასოწარკვეთილის, უიმედობის შხამით დაგესლილს. ეს იყო მი-



შ ა ხ ს ე ვ ნ ე ბ ი,

რახიმ-ხანის რაზმი, სპარსეთის ახლანდელ მთავრობის წინააღმდეგი.

ზეზი, რომ მეორე დღეს სამაჟურიდან პირდაპირ მიხას მაღაზისკენ წავედი. მიხა იქ დამხვდა; სუფთად გამოწყობილი

მუშაობდა; ჩვეულებრივ მომიკითხა, კიდევ გამიღიმა. წამო-  
ველ დამშვიდებული და მალე დავიწყებას მივეცი ჩემი მცო-  
რეოდენი წყენაც, ქეთეთოც, მიხაც და ყველა მისი მისადე-  
ვარიც, ისევ ჩემის ბედის ვარსკვლავს დაუწყე თამაშობა,  
რომ ოდესმე მოვწეოდი მას.

გავიდა ერთი თვე და მივიღე წერილი: ქეთეთოს ქო-  
წილში მპატიჟობდნენ, თანაც ბოდის იხდიდნენ, იმ დღეს  
უნებლიეთ გაწყენინეთო. პასუხი არ გავეცი, არც წავედი;  
თავს შეურაცყოფილად ვთვლიდი და აბა რა წამიყვანდა?!  
ეხლაც ჩემი ფაქრები ისევ ჩემი მეგობრისაკენ დაბრუნდნენ  
და მეც წავესწრაფე მის  
სანახავად. ქეთეთოს ჯვა-  
რისწერის ამბავი მიხასაც  
ეცოდინება და ვაი თუ  
თავს რამე აუტეხოს მეთ-  
ქი, ვიფიქრე. მიხა შინ  
დამიხვდა; ძალიან გაეხარ-  
და ჩემი მისვლა.



ჩინეთის იმპერატორი.

— კარგია მოხველ! ეს  
იყო, მე უნდა წამოვსუ-  
ლიყავ შენთან: მინდა ეს  
სალამო ერთად გავაჭა-  
როთ.

დავსხედით, ვილაპარა-  
კეთ. თითონვე ჩამოაგდო  
ქეთეთოზე საუბარი. უჯ-  
რა გამოსწია, ქალის სუ-  
რათი ამოიღო და დაჰყუ-  
რებდა.

— ვინ მოგცა, კაცო,  
ქალის სურათი, რომელ  
ფოტოგრაფს გამოართვი?— შევეკითხე მე.

— ფოტოგრაფს კი არა, თითონ ჩემმა ქეთეთომ მიძ-  
ღვნა და თავისივე ხელით დააწერა ზედ, მითხრა მიხამ და  
გადმოაბრუნა სურათი.

— როგორ, კაცო, როდის?!— დავეკითხე გაკვირვებული.

— იცი, დათიკო, მე მოვახერხე და თვალი ვადევნე  
ქალს, — მითხრა მიხამ: — გავიგე მისი დანიშვნის ამბავიც,  
მისი ჯვარისწერის დღეც. ისიც გავიგე, რომ საქმრო არ უყ-  
ვარს ქალს, კიდევ ეზინიან მისი, მეტადრე როცა ნასვამი მი-  
დის მაგრამ დედ-მამა დაჟინებით ურჩევს, ძალას ატანს. გუ-  
შინწინ პირდაპირ წაველ ქალის სახლში, რადგან უთუოდ  
უნდა მეთქვა სათქმელი, არ შეიძლებოდა. ჩემს დანახვაზე  
ქალი და დედა ჯერ შეკრთნენ, მაგრამ როდესაც ნახეს, რომ  
მე მათთვის კეთილის მეტი არა მინდარა, დაწყნარდნენ. შე-  
ვევედრე ქალს, ნება მოეცა მხოლოდ რამდენიმე წუთი მე-  
ყურებინა მისთვის, რომ გამეახლებინა ჩემ გულის ფიცარზე  
აღბეჭდილი მისი სახე, უფრო გამენათებინა იგი. ქალმა ამის  
პასუხად თავისი სურათი მიძღვნა. ჩამოვართვი ხატი და გაუ-  
ბედე ის, რასაც წინააღმდეგ ვხედავდი მის შესახებ.

— ქეთეთო! შენ სწორედ ისა ხარ, რომელთანაც  
ოდესმე შემაკავშირა განგებამ. შენი ხმა, შენი თვალები  
ცხადჰყოფენ ამას. ეხლაც ერთმანეთისათვისა ვართ ჩვენ შოვ-  
ლინებულნი ამ ქვეყნად, მაგრამ მანვე ძალა გვძლევს ეხლა,  
გვჯობნის და გვაშორებს ერთმანეთს. ტანჯვა და სოფელის,  
წამებით გავივლით ეხლა წუთი სოფელს, წამებითა ვძლევთ  
იმ ბოროტ ძალას და ოდესმე კვლავ შევერთდებით! — ვუთ-  
ხარ ეს, დავუკოცნე ხელები და წამოველ.

მიხას თვალები აღევჩნო ამ ლაპარაკში, კვლავ აღელდა  
საშინლად, კვლავ გამოსცადა ის წარსული მძიმე წამები.  
მერე ისევ რამშიღიდა ნელ-ნელა და მითხრა:

— სევდიანი გული მაქვს და მოდი ამაღამ ერთად გავა-  
ტაროთ საღამე დრო.

11.

წავყვი. არ შეიძლებოდა თავი დამენებებინა, რადგან,  
ეს წუთი მძიმე იყო მისთვის, აუტანელი. გარეგნობით დაწ-  
ყნარებული სჩანდა ახალგაზრდა, მაგრამ ცეცხლი ეგზნო მის  
გულში შემწველი. მივდიოდით ჩუმად. ძლიერ სევდაში სიტ-  
ყვა უძღურია, მხოლოდ ახლოს ყოფნით თუ ანუგეშებ ბედ-  
შავს.

მუშტაიდისკენ წამიყვანა. იქ ახლო სალხანო წალკო-  
ტი. იმ სალხანო ბაღში შევედით. მე ვთხოვე იქვე საჩრდი-  
ლობელ ქვეშ დაგვსვენა მაგრამ ნება არ მომცა, ქვეით წა-  
მიყვანა მდინარისაკენ. ზედ წყლის პირს ყოფილიყო თალა-  
რი და იქ შემოუხსნელით მაგიდას. ბევრჯერ ვყოფილვარ იმ  
ბაღში, მაგრამ ის ადგილი არა მქონდა შეთვალისებრებული.  
გადავხედე იქაურობას: ორ ნაბიჯზე ჩამოდიოდა მტკვარი,  
წყალის პირი ვაკე იყო, ბექი არა ჰქონდა. შრიალგბდა მდი-  
ნარე, ნაპირზე ქვას აცურებდა, აბრუნებდა, აჩხრალებდა.  
გაღმა მალალი კლდოვანი ბექი მოჩანდა კედელივით და იმ  
კლდის ძირში წყალი ზვირთდებოდა, ეხეთქებოდა სალს, აქა-  
ფებული, ბრუნდებოდა უკან, ტრიალებდა. მდინარის ტალ-  
ლები მუქად ბჰყვრილობდნენ შესახარად. ხომ შუა ქალაქში  
მდებარეობდა ის ადგილი და ისე მივარდნილი კი იყო, ისე-  
თი ბიამანი რომ შევფიქრიანდი, თითქმის შიშმა ამიტანა.

— ეს რა ბიამანი ადგილია ამ შუა ქალაქში?! გავი-  
კვირვე მე.

— არ მოგწონს? მე კი მიყვარს, ხშირად ვარ ხოლმე  
აქ, მაღაზიდან რომ გამოვდივარ დაღლილ-დაქანცული, აქათ  
მოვდივარ დასასვენებლად.

— მერე ამისთანა მიყრუებულ ადგილას რა სასიამოვნო-  
აა ყოფნა? საშიშიც კი არის: შეუძლიანთ დაგახრჩონ და  
მდინარეს მიგცენ.

— მაინც მამწონს ეს ადგილი: მყუდროა და შეიძლება  
ადამიანმა აქ თავი გაიმარტოვოს. იქნება საშიშიც იყოს, მაგ-  
რამ ვინ რას მაგულებს, რომ ბოროტი შემამთხვიონ. სო-  
ფელს მაგონებს ეს ადგილი, ჩვენი მდინარის პირას. აქ აღარ  
ისმის ქალაქის დაუდგრომელი ხმა და არ მიწუხებს სულს, ამ  
პაწია ადგილას ბუნება ისევ თავის სახით არის, კაცი თით-  
ქმის ვერ შეჭხებია მას და ვერ შეუბლაღავს. მე აქ ისევე  
ვუყურებ მდინარეს და შევტრფი ბუნებას, როგორც სოფელ-  
ში. ამ ძლიერ მდინარის დენაში და ჩხრიალში, ამ ხეების  
შრიალში იგივე საიდუმლო ხმები მესმის, რომლებიც მხაბ-  
ლავდნენ ჩვენის მდინარის პირს.

— იცი, დათიკო, — განაგრძო მიხამ ცოტა სიჩუმის  
შემდეგ, — მე აქ ორჯერ-სამჯერ დუღუკოც დავაკვრეინე,  
რომ სავსებით ამეკრიფა ის ძვირფასი ხმები, რომლის მექონ-  
საც, დავეძებდი ამ ქვეყნად. ეჰ, ნეტავ არ მეზოგნა! მე მწამ-  
და, რომ თუ შევხვდებოდი, მიცნობდა, გავახსენდებოდი,  
მოაგონებდა ჩვენგან ოდესმე ერთად გავლილ ჟამს. დროთა  
დიად მსვლელობას მისი გონებიდან გადურეცხნია ჩემი სახე,  
გაღუწმედია მისი გულიდან ჩვენი სიყვარული. ჩემთვის კი  
იგი სიყვარული დაუსრულებელია, საუკუნო.

— გამიგონე! შენ ეხლა ისე გგონია, რომ მხოლოდ  
ქეთეთო იყო სწორედ ის, რომელსაც დაეძებდი. მე კი დარ-  
წმუნებულ ვარ, რომ კიდევ შეჭხვდები ცხოვრებაში ქალს,  
რომელიც შენთვის გაჩენილად მოგეჩვენება, რომელზედაც  
ეგრევე დაწყებ ლაპარაკს, რომელიც შეიქნება შენი ოც-  
ნების განხორციელება, რომელიც მოიცავს და აავსებს შენს  
არსებას. ოღონდ უოჩაღად იყავ, ოღონდ ხასიათის სიმტკი-  
ცე გამოიჩინე, თორემ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ხანგრძლივი სი-  
ცოცხლე გიძევს წინ და ბევრ მაგისთანა სუნუნლოვან ყვა-  
ვილს მოგიპყრობს ცხოვრება მოსასთვლელიად.

— არა, ძმავე, დღეს რომ იქ ქეთეთოს ქორწილია, აქ დასამარებაა ჩემი გულისა. ესლა ის და დამრჩენია, რომ სანამ ვცოცხალვარ, სიწმიდით დავიცვა თავი, რომ გავასპეტაკო ჩემი არსება და იმ ქვეყნად ღირსი შევიქმნე ჩემი ანგელოზის ხილვასა... იცი, დათიკო, მოდი მცირე ვახშამი მოვითხოვოთ, — განაგრძო მიხამ და დაუძახა ბიქს.

უკიდურესად იტანჯებოდა კაცი და ვერ ვეწინააღმდეგე მის სურვილს. მოგვართვეს მცირე რამ. მთლად ჩამოღამდა. ბაღის თავიდან ელექტრონის სინათლე დასწვდა ჩვენ მყუდრო ალაგსაც და ააღაპლა მდინარე. მიხამ ხელი ვერ შეახო საკმელს: მწარედ ეჩვენებოდა ყველაფერი, ყელში არ ჩასდიოდა. აშტერდებოდა საზარლად მოლაპლაპე



ლორდი ჩარლზ ბერნსფორდი.

ლიდერები ინგლისის კონსერვატიულ პარტიისა, რომლის მომხრეებმაც ლორდთა პალატაში უარ-ჰყვეს ქვედა პალატაში მიღებული ბიუჯეტი. ამ ამბავმა საოცარი მითქმა-მოთქმა და ბრძოლა გამოიწვია ინგლისში. ლაპარაკია ლორდთა პალატის (ზედა პალატა) გაუქმებაზედაც-კი.



ჯონ პარსივალ ბიუზი.

მდინარეს, თვალს ვერ აშორებდა მას. მეც უნებლიეთ გავყურებდი მტკვრის ზვირთებს და საშიში გრძობა მიხუთავდა სულს: მეფიქრებოდა, ვაჟკაცმა მდინარის ცივ ტალღებს არ მიანდოს მეთქი თვის გულის სახმილის ჩაქრობა.

— დათიკო, ერთი-ორი ხმა დავაკვრევიოთ დუდუკზე! შეგებეწა მიხამ.

მწყობრი ხმებით ახმაურდა ის მყუდრო კუთხე. დუდუკის სევდიანი მოთქმა უერთდებოდა მტკვრის დუდუნს, ხმები ხან გულში ეკვროდნენ მდინარეს, ხან სხლტებოდნენ მის კამკამ მკერდზე და მარგალიტის მარცვლებად იზნეოდნენ მდამოში. შეფუტრებდი მეგობრის სევდიან სახეს, ვისმენდი ნალვლიან ჰანგებს ტკბილის დუდუკისას და მეც განუსაზღვრელის ნალველით მეგვსებოდა გული. მიხამ დაეყრდნო ხელი მაგიდაზე და გაჰყურებდა სივრცეს გამზრალ თვალებით გაქვავებულ სახეზე.

მძიმე გრძობებით აღსავსენი წამოვედი ბაღიდან. გამოთხოვებისას ძმურად გადავხვიე მიხამ: მის განუსაზღვრელ ტანჯვას ვეამბორე, იმ გამოუთქმელ მსოფლიო სევდას, რომლითაც გამსჭვალულია მთელი არსი და რომელიც უღმობების ძლიერებით საცნაურქმნილიყო აწ ბედშავი მეგობრის გულში.

(შემდეგი იქნება) ვ. ბარნოვი.

თ ა ვ ლ ი.


ძველად ჩვენში თაფლი დიდ ყურადღებას იქცევდა, როგორც სამკურნალო საშუალება. უთაფლოდ არც ერთი ჯანაოზი ექიმი თითქმის არავითარ სენის წამალს არ გააკეთებდა. ძველად ცნობილი წამალი ხველისა და გულის სისუსტის, „მაჯვნი“ ნახევარზე მეტად თაფლისაგან შესდგებოდა. როცა მშობიარობისაგან განთავისუფლდებოდა, ჯანისა და მოშლილ სხეულის გასამაგრებლად თაფლის ფაფას (ხავეწს) აქმევდნენ. თაფლი, როგორც სამკურნალო წამალი, ცნობილი ყოფილა უხსოვარ დროდან. „ქილილა და დამნა“-ში, რომელიც ქრისტეს წინად არის დაწერილი, ვკითხულობთ (გვერდი 19—20): „ყოველივე სნეულებათა კურნება ამა შარბათისაგან (თაფლისაგან) იქმნეს“. ასე პატივისცემით ეპყრობოდნენ თაფლს არა თუ ჩვენში, ყველგან მთელს დედა მიწის ზურგზე ამერიკელი პროფესორი ექიმი ცესელსკი თავის ძვირფას ფუტურების წიგნში აი რას მოგვითხრობს:

„თაფლი, როგორც თავის სახიამ, ისე გადამუშავებულთ არა თუ ყუათიანი საკმელია, არამედ ძრეილი სამკურნალო წამალიც. ძველი კაცები მას არა თუ საუკეთესო საკმელად სთვლიდნენ და სამკურნალოდ ხმარობდნენ, არამედ თავიანთ ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს თაფლის გავლენას აწერდნენ. ასე უყურებდნენ თაფლს საშვალო საუკუნოებში. თაფლი არის ნაყოფი ნახ მცენარეების წვენი და იგი შეიცავს

ისეთ შემადგენელ ნაწილებს, რომელიც ჩვენი სხეულისთვის აუცილებელია. ეს ნაწილებია: წმინდა შაქარი ყურძნის შაქრის ლერწმის და მწვანელილობისა, შიგ ურევია ცილოვანი ნივთიერება რკინასთან შეერთებული, ეთერის ზეთი და ქიანქველის სიმე ვე. თაფლის ჰამა სხეულს ახალისებს, აცოცხლებს, რადგან იგი მსწრაფლ იქსაქსება სისხლში და აძლევს მას ენერგიას. ეს ენერგია ვრცელდება მთელს სხეულზე. ამაგრებს კუნთებს (მუსკულებს), ამსუბუქებს და ამკვრივებს (Гибкость) ახალისებს ნერვებს, აღფრთოვინებს სულს, აღრმავეს აზროვნებას და გვაძლევს მშვიდ აღუშფოთელ ძილს. გარდა ამისა, თაფლი ცნობილია როგორც გადამდებ სენის წინააღმდეგი საშუალება. რადგან მისი ნაწილი ეთერის ზეთი და ქიანქველის სიმე ვე ჰკლავს ბაქტერიებს, ამისათვის არის,

რომ ხშირად თაფლსა ხმარობენ სოფლები ყელ-ჭივრების (დიფტერიტი), ხუნაგის, ქლექის, კატაჯვარას და დაჩიქიანებულ იარის დროს იგი იძლივა სასურველ შედეგს. თაფლის ჰამა კარგად მოქმედობს შიგნით, ორგანოებზე, კანსაც ანაზებს და აახლებს. ჯანმრთელმა კაცმა თაფლი უნდა სჭამოს, რომ არ დაჰკარგოს ჯანმრთელობა, იყოს მხნე და ენერგიული. ავადმყოფებმა კი მისთვის უნდა სჭამონ, რომ აღადგინონ დაკარგული ჯანი. კერძოთ თაფლი უხდება ხველით შეპყრობილთ. გულ სუსტებს აძლევს ნახვილს. უხდება კუჭის ტკივილს, ბუასილს, სისხლ ნაკლულებს, მუწუკებიანს. კარგია აგრეთვე შუშებისთვის. „ინგლისურ ავადმყოფობის“ დროს შველის სულიერათ მოშლილებს, უძილოებს და სხვათ.

თაფლი ჩვენთვის დიდათ სასარგებლოა, თუ იგი ბუნებრივია, მთა ადგილისა (სამკურნალო ყველაზე უკეთესია ცაცხვის მთისა) და არაფერი გარეშე არ ურევია. ამისათვის ვურჩევთ ყველას, არ იყიდონ ჩარჩ მელუქნეებისაგან, არამედ



ლორდი ლენსდოუნი,

რომლის წინადადებითაც ინგლისის ლორდთა პალატამ უარ-ჰყო ბიუჯეტი.

შეიძინონ პირდაპირ მეფუტკრისგან ან და იყიდონ გამოფენებზე; ყველაზე უკეთესია, თუ იყიდონ სარაჯად.

აი, ასეთი ყოფილა თაფლი.

მეფუტკრე აბ. წულაძე.